**მომსახურების შესყიდვის ხელშეკრულება**

**ტენდერის დასახელება:** რეგიონული ლოგისტიკური საჭიროებების ანალიზი

**ტენდერის ნომერი:** BSB-LOGINET/ACCI/2026-02

ერთის მხრივ, **აჭარის სავაჭრო-სამრეწველო პალატა** (შემდგომში მოხსენიებული როგორც „შემსყიდველი ორგანო“, ან „ACCI“) და მეორეს მხრივ, **[კონტრაქტორი ფირმის დასახელება/სახელწოდება]** (შემდგომში მოხსენიებული როგორც „კონტრაქტორი“), მხარეები შეთანხმდნენ შემდეგ საკითხებზე:

**1. მოთხოვნილი მომსახურება** წინამდებარე ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს ევროკავშირის მიერ დაფინანსებული BSB-LOGINET პროექტის ფარგლებში: აჭარის რეგიონისთვის სამაგიდო კვლევის ჩატარება, თვისებრივი საველე ინტერვიუებისა და ფოკუს-ჯგუფების შეხვედრების ორგანიზება, მონაცემთა კოდირება თვისებრივი ანალიზის პროგრამული უზრუნველყოფის (MAXQDA, ან სხვა) გამოყენებით, საბოლოო ანგარიშის მომზადება. პროფესიონალური თარგმანი ინგლისურ ენაზე, ვიზუალური დიზაინი და ბეჭდვა. სამუშაოს ტექნიკური დეტალები მოცემულია ტექნიკურ დავალებაში (Technical Specifications), რომელიც წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

**2. ხელშეკრულების ღირებულება** წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოების მთლიანი ღირებულება შეადგენს **[.................] ევროს**, დღგ-ს ჩათვლით, ეროვნულ ვალუტაში (ლარი), ხელშეკრულების გაფორმების დღის შესაბამისი ოფიციალური გაცვლითი კურსის მიხედვით. ეს თანხა მოიცავს ყველა ხარჯს, მათ შორის: სამაგიდო კვლევას, საველე სამუშაოებს, პროგრამული უზრუნველყოფის გამოყენებას, დიზაინს, ბეჭდვას (20 ეგზემპლარი) და მიწოდებას.

**3. დაწყების თარიღი და შესრულების ვადები** ხელშეკრულების დაწყების თარიღია **[თარიღი]** და მომსახურების შესრულების ვადა შეადგენს **[პერიოდი]** დაწყების თარიღიდან.

**4. გადახდები** გადახდები განხორციელდება მომსახურების მიმწოდებლის მიერ კონტრაქტორის სატენდერო დოკუმენტაციაში მითითებულ საბანკო ანგარიშზე **ეროვნულ ვალუტაში (ლარში)**. გადახდა განხორციელდება შემდეგი წესით: ერთიანი გადახდა მომსახურების სრულად ჩაბარების შემდეგ.

**5. ხელშეკრულების შეწყვეტა და საჯარიმო პირობები** ACCI უფლებამოსილია, ყოველგვარი გაფრთხილებისა თუ სასამართლო გადაწყვეტილების გარეშე, ცალმხრივად და დაუყოვნებლივ შეწყვიტოს ხელშეკრულება შემდეგ შემთხვევებში:

1. თუ კონტრაქტორი იმოქმედებს სატენდერო წინადადებაში მოცემული მეთოდოლოგიის, სამუშაო გეგმის ან ექსპერტთა პერსონალის მოყვანის ვალდებულების საწინააღმდეგოდ;
2. თუ დადგინდება, რომ კონტრაქტორის ქმედება ეწინააღმდეგება ევროკავშირის ფინანსურ რეგულაციებს, არის არაეთიკური ან არამართლზომიერი;
3. თუ სამუშაო არ სრულდება ტექნიკურ დავალებაში მითითებული ხარისხისა და გულმოდგინების სტანდარტების დაცვით, ან თუ არ არის გათვალისწინებული ACCI -ს და მოთხოვნები/გაფრთხილებები;
4. თუ ACCI -ს წერილობითი თანხმობის გარეშე მოხდება ანგარიშის შინაარსის, ექსპერტთა შემადგენლობის ან ქვეკონტრაქტორის შეცვლა;

5. ინტელექტუალური საკუთრებისა და კონფიდენციალურობის მუხლის (მე-6 მუხლი) დარღვევის გამოვლენისას.

**6. ინტელექტუალური საკუთრება და კონფიდენციალურობა** წინამდებარე ხელშეკრულების ფარგლებში მომზადებულ ყველა ანგარიშზე, მონაცემზე, დიზაინსა და მასალაზე ინტელექტუალური საკუთრების, გამოყენების, გამოქვეყნებისა და რეპროდუცირების უფლებები უსასყიდლოდ და განუსაზღვრელი ვადით ACCI -ს და BSB-LOGINET პროექტს. კონტრაქტორს არ აქვს უფლება გამოიყენოს ეს მასალები სხვაგან შემსყიდველი ორგანოს ნებართვის გარეშე. კონტრაქტორი ვალდებულია კონფიდენციალურად შეინახოს და მესამე პირებს არ გაუზიაროს სამუშაოს შესრულებისას მოპოვებული მონაცემები (ინტერვიუს ჩანაწერები და სხვა), რომლებიც ეკუთვნის სხვადასხვა დაწესებულებებსა თუ კერძო სექტორს.

**7. დავების გადაწყვეტა** წინამდებარე ხელშეკრულების შესრულებისას წარმოშობილი ნებისმიერი დავის შემთხვევაში, მხარეებისთვის პრიორიტეტულია კეთილსინდისიერი მოლაპარაკებები. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, უფლებამოსილ ორგანოს წარმოადგენს  ბათუმის საქალაქო სასამართლო.

**8. აუდიტი და ხილვადობა** კონტრაქტორი ვალდებულია დაიცვას ევროკავშირის ხილვადობის (Visibility) წესები. გარდა ამისა, კონტრაქტორი თანახმაა, საგრანტო პროგრამის, ეროვნული ორგანოების, ევროკომისიის, OLAF-ის, EPPO-სა და ევროპის აუდიტორთა სასამართლოს მიერ განხორციელებული შემოწმებებისას წარადგინოს პროექტთან დაკავშირებული ნებისმიერი ინფორმაცია, დოკუმენტი თუ ჩანაწერი.

**9. კონტროლი, რევიზია და მიღების კრიტერიუმები** შემსყიდველ ორგანოს (ACCI) უფლება აქვს მოსთხოვოს კონტრაქტორს შესწორებები და რევიზია, თუ ანგარიში ან დიზაინი არ აკმაყოფილებს დადგენილ ხარისხის სტანდარტებს. სამუშაო არ ჩაითვლება მიღებულად. გადახდა (მიღების პროცედურა) არ განხორციელდება სასურველი ხარისხის მიღწევამდე.

**10. კონტრაქტორის ვალდებულებები**

- **ექსპერტთა შემადგენლობა:** კონტრაქტორი ვალდებულია სამუშაოს შესრულებისას გამოიყენოს ის ექსპერტები, რომელთა CV-ებიც წარადგინა სატენდერო წინადადებაში. საკვანძო ექსპერტების შეცვლა დაუშვებელია შემსყიდველი ორგანოს წერილობითი თანხმობის გარეშე.

- **მეთოდოლოგია და აკადემიური დასტური:** თვისებრივი მონაცემების ანალიზისთვის გამოყენებული უნდა იქნას MAXQDA, ან მისი იდენტური პროგრამული უზრუნველყოფა და უნდა შეიქმნას თემატური კოდირების სქემა.
- **კოორდინაცია:** ყოველი დასრულებული აქტივობის შემდეგ ACCI-ს წარედგინება ანგარიში პროგრესის შესახებ. ფოკუს-ჯგუფების შეხვედრები ჩატარდება ACCI--ს ადმინისტრაციულ შენობაში; შეხვედრების განრიგი და მოწვეულ პირთა სია ექვემდებარება ACCI--ს დასტურს.

11. **დანართები** წინამდებარე ხელშეკრულების დანართებს და მის განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს შემდეგი დოკუმენტები:

- დანართი I: მოწვევა ტენდერზე და ტექნიკური დავალება;
- დანართი II: კონტრაქტორის სატენდერო წინადადება (ტექნიკური და ფინანსური წინადადება);

- დანართი III: ფინანსური ინფორმაციის ფორმა.

| | |
|---|---|
| **მომსახურების მიმწოდებელი:** | **შემსყიდველი:** |
| სახელი, გვარი: | სახელი, გვარი: |
| თანამდებობა: | თანამდებობა: |
| ხელმოწერა: | ხელმოწერა: |
| თარიღი: | თარიღი: |